სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 141

2015 წლის 30 სექტემბერი

ქ. თბილისი

2015 წლის სეზონური სკოლის საგრანტო კონკურსის შედეგად გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

„სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 26 ივნისის N77/ნ დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის „ე" ქვეპუნქტის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე" და „მ" ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის ქეთევან გაბიტაშვილის სამსახურებრივი ბარათის (N998724, 30.09.2015) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს 2015 წლის სეზონური სკოლის საგრანტო კონკურსის შედეგად გამარჯვებული პროექტები ამ ბრძანების დანართი N1-ს შესაბამისად;
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტს დანართი ერთით გათვალისწინებულ პროექტის წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2015 წლის 10 ოქტომბრისა;
3. დაევალოს სსიპ - ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებ გვერდზე.
4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი

დანართი N1
დამტკიცებულია სსიპ შოთა რუსთაველის ერვნული
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2015 წლის 30 სექტემბრის N141 ბრძანებით

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2015 წლის სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსზე გამარჯვებული პროექტები

I მიმართულება - საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების სეზონური სკოლა

N	პროექტის შიფრი	წამყვანი ორგანიზაცია	პროექტის სახელწოდება	საბოლოო ქულა
1	SS15_1_001	სსიპ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი	ქართველოლოგიის სკოლა „ქართული ხელნაწერი“	50

II მიმართულება - სამეცნიერო სეზონური სკოლები ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) და ევროსტატის (EUROSTAT) კლასიფიკაციის შესაბამის სამეცნიერო მიმართულებებში:

N	პროექტის შიფრი	წამყვანი ორგანიზაცია	პროექტის სახელწოდება	საბოლოო ქულა
1	SS15_2_002	სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	მე-2 საერთაშორისო სკოლა: „შემოდგომის ლექციები თბილისში -2 - ბირთვული ფიზიკა მედიცინაში“	51
2	SS15_2_008	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	დიგიტალური ქართველოლოგია – თემატური კორპუსები და ანოტირების საკითხები ქართველურ ენებში	48
3	SS15_2_005	სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	რადიაციული მედიცინა 21 საუკუნეში, ტენდენციები, პრობლემები, გადაწყვეტის გზები	47
4	SS15_2_009	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მონაცემთა მოწინავე ანალიზი სოციალურ მეცნიერებებში	47
5	SS15_2_011	ა(ა)იპ ქართველოლოგიის საერთაშორისო მხარდამჭერთა საერთაშორისო ასოციაცია	ზამთრის ქართველოლოგიური სკოლა	47
6	SS15_2_006	შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	ტოლერანტობისა და ინტერკულტურული განათლების სკოლა	46
7	SS15_2_001	სსიპ ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი	რეოლოგიის და მიკროცირკულაციის საერთაშორისო სკოლა	45
8	SS15_2_007	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ენერგია, გარემო და მდგრადი განვითარება	45
9	SS15_2_012	სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მიკრო და ნანოსტრუქტურების კვლევის მეთოდები	45
10	SS15_2_010	სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	ონკოლოგიის ზამთრის სკოლა	45